

დ ღ ღ ღ ღ ღ

სურათების დამატება

გაზეთის № 153. გვირა: 12 ივნისი 1909 წ. დამატების № 27.

ქართული.

თავი II

1. მე ყვავილი ველისა, შროშანი ღელეთა¹⁾.
2. და ვითარცა შროშანი შორის ეკალთა — ეს არს მახლობელი ჩემი შორის ასულთა.
3. ვითარცა ვაშლი შორის ხეთა ნარისათა — ეს არს ძმისწული²⁾ ჩემი შორის ძეთა: საგრილსა ქვეშე მისია — გულმან მითქვა³⁾ — და დავჯედ და ნაყოფი მისი ტკბილ არს სასასა⁴⁾ ჩემსა.

ქალჭულთა სძალი ეტაპი:

4. შემიყვანეთ მე სახლსა ღვინისასა, განაწესეთ ჩემ ზედა სიყვარული⁵⁾.
5. დამამტკიცეთ მე სუნნელებითა ხელ საცხებელთათა, გარემომასხით მე ვაშლი⁶⁾ რამეთუ დაწყლულვარ მე სიყვარულითა.

სიძა სძალსა ეტაპი:

6. მარცხსნე მისი თავსა ჩემსა ქვეშე და მარჯვნებან მისმან შემიწყნაროს მე⁷⁾
7. გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და სიმტკიცეთა აგარაკისათა: რაფამს აღსდგეს — განაღვიძეთ სიყვარული, რაფამსცა უნდგეს⁸⁾.
8. ხმა ძმისწულისა ჩემისა! აპა, ესერა მოვალს ხლდომით მთათა ზედა და მორბის ბორცვთა ზედა.
9. მგზავს არს ძმისწული ჩემი ქურციკისა და ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა ბეთელისათა⁹⁾.

სძალი ქალჭულთა სიძასთვის აუზება:

- აპა, ესერა შინაგან ზღუდესა ჩენსა (სდგას) და იხედავს სარმლით გამო შინაგან.
10. აღსდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო შვენიერო ჩემო, ტრედო, ჩემო!¹⁰⁾
 11. რამეთუ, აპა, ზამთარი წარხდა, წვიმა დასცხრა წარვიდა.
 12. ყვავილი იგი გამოსჩნდა ქვეყანსა, უამი სხლვისა¹¹⁾ მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქვეყანსა ჩენსა.

1) ა. რუს. თარგმანი: მე ნარგიზი სარონისა, შროშანი ველისა.
2) მახლობელი, ან მეგობარი.

3) თომიას.

4) ბავესა ჩემსა (ა. რ. თ.).

5) შემიყვანა მე სახლსა ღვინისასა ღროშა მისი ჩემზედა — სიყვარული (ა. რ. თ.).

6) გამოკეთეთ მე სარეცელი ვაშლისა...

7) ამ სათაურიდან სხანს, ვითომ სიძე ეუბნებოდეს ამას სძალს,

ა. რ. თარგმანში კი ეს სიტყვები „სძალს“ ეკუთვნის — ლქვა რუკა ერთა და მარჯვებისათა უკეთუ ალადგინოთ და განაღვიძოთ სიყვარული რაფამსცა უნდგეს¹²⁾.

8) მთელი ეს მუხლი ძალიან აბნეულად არის გადათარგმნილი პი-

რველი ნაწილი... სულ სხვა გვარად არის ა. რუს. თარგმანის მიხედვით:

გაფუცებ თქვენ ასულნო იერუსალიმისანო ქურციკთა და ირემთა ველი-

სასა: მეორე ნაწილი ბოლო დროის ქართულ თარგმანში უფრო უახ-

ლოვდება სისამდვილეს: „უკეთუ აღსდგეთ და განაღვიძოთ სიყვარული

ვიდრემდისცა ინგბოს“.

9) ძმისწული ყველგან მახლობელისა და მეგობრის მაგიერ არის

ნახმარები. „მთათა ზედა ბეთელისათა“ სულ არ არის (ა. რ. თ.).

10) ამ მუხლის თავი აკლია (ა. რ. თ.) შესძახა (ვოსკლიკიულ)

მახლობელმა ჩემა და მრექვა, „ტრედო ჩემო!“ სულ არ არის.

11) უამი სიმღერისა (ა. რ. თ.).

(იხ. „დროება“, № 26).

13. ლელვმან გამოუტევა ყვავილი თვისი, ვენახნი ჩენნი ჰვენ-ნი ჰყვავიან, მოსცეს სუნნელება თვისი¹³⁾).

სიძა სძალს ეტაპი:

14. შენ, ტრედო ჩემო, საგრილსა მას ქვეშე კლდისასა, მახლობელი ზღუდესა მას; მიჩვენე მე პირი შენი და მას-მინე შე ხმა შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმა შენი სმენად და პირი შენი შვენიერ ხილვად¹⁴⁾.

გალჭულთა სიძა ეტაპი:

15. მიპყარო ჩენ მელები მცირე, განმრყვნელი ვენახ-თა: ვენახნი ჩენნი ჰყვავიან¹⁵⁾.

16. ძმისწული¹⁵⁾ ჩემი — ჩემდა და მე — მისდა, რო-მელი მწყეს შროშანთა შორის

17. ვიდრემდე წარხდეს დღე და მოვიდეს აჩრდილი, მოიქეც დაემზავს შენ, ძმისწულო ჩემო, ქურციკსა ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა სუნნელთა¹⁶⁾)

თავი III

1. სარეცელთა ჩემთა ზედა, ღამე, ვეძიებდ, რომელი შეიყვარა სულპან ჩემმან, — ვხადოდე მას და არა ხმამცა¹⁷⁾) მე, ვეძიებდ მას და არა ვიპოვე იგი.

3. აღვდგე უკე და მოველო ქალაქსა შინა სავაჭროთა ზედა და უბანთა ზედა. და მოვიძიო, რომელი შეიყვარა სულ-მან ჩემმან: ვეძიებდ მას და არა ვპოვე იგი, ვხადოდე მას და არა მასმინა მე¹⁸⁾.

3. მპოეს მე მცველთა, რომელი მოვლიდეს ქალაქსა: ნუ თუ ჰპოებთ (ჰპოეთ) რომელი უყვარს სულსა ჩემსა

4. ვითარცა კნინ წარელე მათგან — ვპოვე იგი, რო-მელი უყვარს სულსა ჩემსა.

ჰპოეს სძალებან სიძა და თდა:

- შევიპყარ იგი და არა განუტეო — ვიდრემდის შევი-ყვანო იგი ისახედ დედისა ჩემისა და საუნჯეთა მშობლისა ჩე-მისათა.

5. გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალითა და სიმტკიცითა აგარაკისათა უკეთუ ალადგინოთ და განა-ღვიძოთ სიყვარული რაფამსცა უნდგეს¹⁹⁾.

სიძა სძალსა ჰპითხავს:

6. ვინ არს ეს მომავალი უდაბნოთ, აღმაღლებული ვითარცა კვამლი — საკეცელთა, ზეური²⁰⁾ და გუნდრუკი და ყოველი შეზავებული ნელსაცხებელის მოქმედთა.

- 12) ბოლო აკლია: „აღსდეგ მოვედ, მახლობელო ჩემო, შვენიერო ჩემო!“

- 13) „სმენად“ და „ხილვად“ — მეტია (ა. რ. თ.).

- 14) ეს მუხლი ასე იწყება: დაგვისახელეთ ჩენ მელები, მელები მცირე...“

- 15) მეგობარი, გინდ მახლობელი.

- 16) ვიდრემდის დღემ დაპერიოდს სიგრილე და შეიძრენ აჩრდილნი, ... მთის ზღუდესა (რაცხლის) (ა. რ. თ.).

- 17) „ვხადოდე მას და არა ხმამცა“ არ არის ა. რ. თარგმანში.

- 18) არც ეს სიტყვებია „ვხადოდე მას და არა მასმინა მე“.

- 19) ისევე როგორც თ. II მ. 7. სულნო იერუსალიმისანო, „უკეთუ შესძრათ და ალადგინოთ სიყვარული, ვიდრემდის უკეთუ ინ-ბოს.“

- 20) ზმურის მაგიერ მურია ბოლონდელ ქართულ თარგმანში.

ქალაქლთა ეს სთხოვა:

7. აპა, ეცერა ცხედარი სოლომონისი, და სამეოცნი ძლიერნი გარემოს მისია ძლიერისაგან ისრაელისათა.

8. ყოველთა (უპირიათ) მახვილი ხელთა, და წრთვილი ღვაწლსა (ბრძოლასა), კაცად-კაცალსა ბარკალთათანა შიშისათვის დამისასა.

9. გავალაკნი ქმნა სოლომონ მეფემან ძელთაგან ლიბანისათა.

10. სვეტნი შექმნა ვერცხლისანი, კამარად ღრეკილი მისი — ოქროისა, საჯდომელი მისი ძოწეულისა, იატაკი მისი ანთრაკი ლესული, სიყვარულისაგან ასულთა იერუსალიმისათა.

11. განვედით და იხილეთ მეფე სოლომონ და მიხედვეთ გვირგვინსა მას მისა, რომელი იგი დაადგა მას დედამან მისან დღესა სიძობისა მისისასა²¹⁾.

თავი IV

1. აპა ეცერა სდგა, მახლობელო ჩემო, აპა ეცერა სდგა, შევნიერო ჩემო! თვალნი შენი ტრედისანი, გარეშე დამოვლისა (?) მაგის შენისა, თმა შენი — ვითარცა არვე თხათა, რომელნი გამოჩნდეს ედომით²²⁾

2. კბილნი შენი ვითარცა არვე მორისულთა²³⁾ აღმომავალი (—ლთა) საბანელით: ყოველნი ორთ მცემელნი (ე. ი. ორსულნი) და ბერწი არ არს მათ შორის.

3. მეწამულ — ბაგენი შენი, ვითარცა ძოწით ღებულნი, — გარდანალები ერთი ქსლისა, და სიტყვაი შენი შევნიერ ვითარცა ნაქვრცენი მრეწეულისა (ბრძოწეულისა), სიკეთენი შენი გარეშე ღუმელისა მაგის შენისა²⁴⁾.

4. ვითარცა გოდოლი დავითისი — ყელი შენი!²⁵⁾ ათასი ფარი დამოკიდებული მის ზედა და ყოველი — ისარი ძლიერთა.

5. ორნი ძუძუნი შენი, ვითარცა ორნი თიკანნი ქურციკისანი, რომელნი სძოვედ შორის შროშანთა²⁶⁾.

6. ვიტრე დღისა შერიურვებამდე და აჩრდილთა²⁷⁾ შეძრად. მე თვით მივიდე მთასა მურისასა და ბორცვსა ლიბანისასა.

7. ყოველად შევნიერ ხარ, მახლობელო ჩემო, და ბიწი არა არს შენთანა.

8. მოვედ, სძალო, ლიბანით, აქა მოვედ გუნდრუკვნით (ლიბანით); და მოხვიდე — წარმოვლო თავსა ზედა არვეთასა თხემსა ზედა სანირისასა და ერმონისასა²⁸⁾ ყოველთაგან საყოფელთაგან ლომთასა და მთათაგან ვეფხთასა.

9. გვასურვე ჩვენ, დაო ჩვენო, სძალო, გული გვალმე

²¹⁾ განვედით და იხილეთ „ასულნო სიონისაო და შემდეგ დღესა სიხარულისა გულისა მისისასა“.

²²⁾ „სდგა“ მეტია. „დამოვლისა“ და ბოლონდელ ქართულ თარგმანში „დუმლისა“ — ახ. რუს. თარგ. „,ჭათა“ არის. „ედომის“ მაგიერ „გალადით“ ანუ „გალადისაგან“, როგორც ბოლონდ. ქართ. თარგმანშია.

²³⁾ ახ. რ. თარგ. სტადი ივეც ისტრიუქტორი — გაკრეჭილი ცხვრის ფარა.

²⁴⁾ არეული ნათარგმნია: უნდა იყოს..., „ძოწით ღებულნი და სიტყვანი შენი შევნიერ, ვითარცა ნაქვრცენი ბრძოწეულისა — საფეხმელი შენი გარეშე ღუმილისა მაგის შენისა“ (ახ. რ. თ.).

²⁵⁾ ახ. რუს. თარგ. მიხედვით აქ უნდა იყოს ჩამატებული სიტყვები ყელი შენი ვითარცა გოდოლი დავითისი, რომელი აშენებულ არს ზავარჯიშოდ.

²⁶⁾ უნდა იყოს ახ. რ. თ. მახდევით: ორნი ძუძუნი შენი ვითარცა ორნი ნუკრნი ირმისანი, მარჩბივი ქურციკისანი, რომელნი სძოვენ შორის შროშანთა.

²⁷⁾ „ვიტრე დღემ დაპერიოს სიგრილე და შეინძრენ აჩილნი“ (ახ. რ. თ.).

²⁸⁾ სანი რა და ერმი — სახელწოდებაა ადგილებისა.

ჩვენ ერთითა ყელისა — საბელითა მძივის შენისათა²⁹⁾.

10. განვენდეს ძუძუნი შენი, დაო ჩემო, სძალო, რავდენ შვენიერ არიან ძუძუნი შენი ღვინისაგან და სუნი სამოსლისა შენისა, უმეტეს საკმეველთა ყოველთა³⁰⁾.

11. თაფლი დამოსწვეთის ბაგეთა შენთა, დაო ჩემო, სძალო, თაფლი და რძე ქვეშე ენასა შენსა, და სუნი სამოსლისა შენისა, ვითარცა სუნი გუნდრუკისა³¹⁾.

12. მოკრძალულ არს დაი ჩემი, სძალი, — მტილი მოკრძალული, წყაროთ დაბეჭდილი.

13. მოციქულება შენი — სამოთხე: ნაყოფიერ ხილოვან, კვაბრი ნარდინითურთ³²⁾.

14. ნარდინი და ქურქუმაი³³⁾, საკმეველი — ლერწამი და კინომაი ყოველით ხილურთ ლიბანისათ, მური და ალიო, ყოველითურთ პატიოსანით საკმეველი (თ).

15. წყარო სამოთხის და თვავ —³⁴⁾ წყარო ცხოველის, გამომავალი ლიბანით.

16. განიღვიძე, საჭარო, და მოვედ, ბლვარო, მოპერე მტილისა ჩემსა და გამოუტევე სუნნელებათ საკმეველთა ჩემთა. შთახედით ძმისწული ჩემი მტილისა თვისსა და სჭამენ ხილი ნაყოფთაგან თვისთა³⁵⁾.

თავი V

სიძალსა ეტყვის:

1. შევედ მტილსა ჩემსა, დაო ჩემო, სძალო, მოვწილე მური საკმევლითურთ ჩემით, ესჭამე პური ჩემი თაფლითა ჩემთა და ესვი მე ღვინით ჩემი სძითა სემითა.

მოხვასთა სიძალს ეტყვის:

სჭამეთ, მოყვასნო, და სუთ და დიოტრვენით, ძმის წულნო ჩემნო³⁶⁾

2. მე მძინავს და სულს (ა) ჩემსა ღვიძავს³⁷⁾.

სძალი აგრძობას სიძალსა რეკასა კარისასა და ეტყვის:

ხმა ძმისწულისა ჩემისა ჰრეკი კარსა: „განალე, ძმისწულო ჩემო, მახლობელო ჩემო, ტრედო ჩემო, სძალო ჩემო, თავი ჩემი აღივსო ცვარითა ლამისათა³⁸⁾.

3. — „განვიძარცვე სამოსელი ჩემი, — ვითარმე შევიმსო³⁹⁾ იგი? და ღავიბანენ ფერხნი ჩემნი — ვითარ რაი შევაგინე იგი.

4. ძმისწულმან ჩემმან მოპყო ხელი სარკმელით გამო და მუცელი ჩემი აღრია მასზედა⁴⁰⁾.

5. აღვდეგ განდებად კარისა ძმისწულისა ჩემისა, ხელთა ჩემთა დასწვეთდა მური, თითო ჩემთა (დასწვეთდა) მური სავსე ხელთა ზედა სახშელთასა.

6. განუღე ძმისწულისა ჩემსა. დისწული ჩემი წარვიდა ჩემგან და სული ჩემი განვიდა სიტყვას მისსა⁴¹⁾: ვერძიებდ მას და არა ვპოვე იგი, ვხალოდე მას და არა მომიგო მე.

²⁹⁾ გამოვებულია „ერთითა შეხედვითა თვალთა შენთათა.

³⁰⁾ „ძუძუნი“ ალერსის მაგიერ (ახ. რ. თ. ლასკი).

³¹⁾ „გუნდრუკისა“ მაგიერ „ლიბანისა“ (ახ. რ. თ.).

³²⁾ ახ. რ. თ. მიხედვით თვით მინჭები — ბალი ბრეშოულთა, ძვირფასის ხილითურთ, კვიბრი ნარდინითურთ.

³³⁾ ქურქუმის მაკიერ ზაფრანა სჯობს (შიფრანთ).

³⁴⁾ „პა“ უნდა იყოს (კოლოდეზ).

³⁵⁾ უკანასკნელი წინადადება შეცდომით არის მე-V-ე თავის დასაწყისში შეტანილი. „გაიღვიძე სამხაროს“ მაგიერ ბოლონდელ ქართ. თარგმანში „განიღვიძე ჩრდილოა“, რაც უფრო უახლოვებება ახ. რ. თ.

³⁶⁾ „მეგობარნო“ ანუ „მახლობელნო“.

³⁷⁾ ბოლონდ. ქართ. თარგ. „სულის“ მაგიერ „გულია“, რაც უფრო უახლოვებება ტექსტს (ახ. რ. თ.).

³⁸⁾ ახ. რისულ თარგმნის მიხედვით უნდა იყოს: თავი ჩემი აღივსო ტვრით, ხუჭუ-თმა ჩემი პატარა წვეთითა ლამისათა.

³⁹⁾ ახალ. ქართ თარ. „შევიმოსო“.

⁴⁰⁾ რუსული ახ. თარ. ასეა: ВНУТРЕННОСТЬ МОЯ ВЗВОЛНОВАЛОСЬ О НЕМЪ. ძმისწულის მაგიერ ყველგან „მეგობარი“ ანუ მახლობელი“.

⁴¹⁾ ე. ი. როცა მე მელაპარაკებოდაო (ახ. რ. თ.).



7. მპოქს მე მცველთა, რომელი მოვლიდეს ქალაქსა, შეცეს მე. დამწყლეს მე, მიმიღეს სამოსელი ჩემი ჩემგან მცველთა ზღუდისათა.

8. გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალთა და ძლიერებათა ველისათა⁴²⁾: უკეთუ ჰქოვოთ ძმისწული ჩემი, რათა მიუთხრათ მას, რამეთუ დაწყლული სიყვარულისა ვარი მე.

9. რაი არს დისწული შენი დისწულისაგან, კეთილო დედათა შორის? რაი არს დისწული შენი დისწულისაგნ⁴³⁾ რამეთუ ესრეთ მაფუცებ ჩვენ.

სძალი იტყვის:

10. დისწული ჩემი მწყაზარ და მწითურ, გამოჩეულ შობიდგან ბევრეულთა.

11. თავი მისი — ოქროისა ოფაზისა; კოწოლნი მისი ვითარუ ხე და დანაკის კუდისა, შავ ვითარუ ყორანი⁴⁴⁾.

12. თვალნი მისი ვითარუ ტრედისანი სავსებასა ზედა წყალთასა⁴⁵⁾.

13. ლაწვნი მისი ვითარუ ფიალნი სუნნელთანი, რომელნი აღმოაცენებენ ნელსაცხებელსა გბოლვილსა ბაგენი მისნი ვითარუ შროშანნი წვრთოდიან ნელსაცხებელთა საგბოლველთა⁴⁶⁾.

14. ხელნი მისი ოქროისანი, წახნაგებულ სახსე ოქროითა თარმისათა⁴⁷⁾; მუცელი მისი ვითარუ ფიცარი სპილოს ძვალისა, ლესულ თვალთაგან საფიროვნისათა.

15. წვივნი მისი — მარმარილოისანი, დამტკიცებულ ზედა — სადგომთა ოქროისათა; ხილვა მისი ვითარუ ლიბანე და⁴⁸⁾ ვითარუ ნაძვი რჩეული.

16. ხორხი მისი — სახსე სიტკბოებითა და ყოვლად საწადელი, — ესე არს ძმისწული ჩემი და ესე მახლობელი ჩემი, ასულნო იერუსალიმისანო⁴⁹⁾.

თავი VI

ასული ჰეითხავება:

1. ვიდრე ვიდა ძმისწული შენი, შვენიერო დედათა შორის? ვიდრე მიმართა ძმისწულმან? და ვიძიოთ იგი შორს შენსა⁵⁰⁾.

2. ძმისწული ჩემი შთავიდა მტილსა თვისისა, წედთა⁵¹⁾ მათ საკეთელთასა, მწყსად შორის მტილსა და კრებად შროშანთა.

3. მე ძმისწულისა ჩემისა და ძმისწულაკი⁵²⁾ ჩემი ჩემდა, რომელი მწყსი (?) შორის შროშანთა.

4. კეთილ ხარ, მახლობელო ჩემო, ვითარუ სათნოი

⁴²⁾ „ძალთა და ძლიერებათა ველისათა“ ჩამარებულია მთარგმნელისაგან (ახ. რ. თ.).

⁴³⁾ ე. ი. რითა სჯობია შენი მეგობარი სხვის მეგობრებათ.

⁴⁴⁾ ბოლ. ქარ. თარგ. უფრო უახვლოვდება ახ. რ. თ. „თავი მისი — ოქროისა რჩეულისა.... თმათა მისთა თხზულება (ნაწარი) შენი, ვითარუ ყორანნი.

⁴⁵⁾ აკლია „რომელნი ბანაობენ რძეში და სხედან მოვარაყებულ ზედ“ (ახ. რ. თ.)

⁴⁶⁾ ახ. რ. თ. მიხედვით: „ლაწვნი, ვითარუ ფიალო ნელსაცხებელთანი, სუნელოვანნი მცენარენი, ბაგენი მისნი ვითარუ შროშანნი, რომელთაგან სწევოს ნელსაცხებელი.“

⁴⁷⁾ ახ. რ. თ. მიხედვით „ხელნი მისსი რგოლნი ოქროისანი, „მოფენილი ყვითელ თვლებით (TOPAZ).“

⁴⁸⁾ გამოტოვებულია „ძლიერ არს“ (ახ. რ. თ.).

⁴⁹⁾ „ხორხის“ მაგიერ „ბაგე“ უნდა იყოს. „ძმისწულის“ მაგიერ „მეგობარი“, როგორც ყველგან, „მახლობელის“ მაგიერ „სატრფო“.

⁵⁰⁾ ეს თავი ამთავრებს ამ ქართულ თარგმანში მე-V-ე თავს, ჩვენ გადმოიტანეთ მე-V-ე თ. დასაწყისში, როგორც ეს ახ. რ. თ. „ვიძიოთ იგი შორს შენსა“ ახ. რ. თ. ასეა: ვიძიოთ იგი კერთად შენთანა“.

⁵¹⁾ ახ. რუს. თ. აქ „ЦВЕТНИКЕ“-ია ნახმარები.

⁵²⁾ „მეგობარი“ ყველგან „ძმისწული“-ს მაგიერ.

შვენიერ ვითარუ იერუსალიმი, საკვირველ ვითარუ დაწებულნი (წყობანი ლაშქართანი).

5. მარიდენ თვალნი შენნი წინაშე ჩემსა, რამეთუ მავათ აღმაფრინება მე: თმა შენი ვითარუ სამწყსო თხათა, რომელნი გამოჩნდეს გალადით.

6. კბილნი შენნი ვითარუ არავე მორისულთა (ცხოვართა), აღმომავალი საბანელით — ყველენი ორთ-მსხელი და ბერწი ირ არს მათთანა; მეწამულ ბაგენი შენნი, ვითარუ ძეწვით დებულნი გარდანაღები ერთი ქსლისა, და სიტყვანი შენი შვენიერ. ⁵³⁾

7. ვითარუ ნარქვენნი მრეწეულისა — სიკეონი შენნი⁵⁴⁾, გარეშე დუმსლისა მაგის შენისა.

8. სამეოცნი არიან დელოფალნი და ითხმოცნი ხარჭნი⁵⁵⁾.

9. ერთ არს ტრედი ჩემი, სხალი ჩემი, ერთ არს დედისა თვისისასა⁵⁶⁾; — იხილეს იგი ქალწულთა და ჰნატრიდეს მას და დედოფალთა და ხარჭთა იქვს იგი.

დედოფალთა და ასულთა იხილეს სძალი და ნატრიდეს:

10. ვინ არს ესე, რომელი აღმოვალს ვითარუ ცისკარი შვენიერად, ვითარუ მთოვარე, — რჩეულ ვითარუ მზის თვალი, საკვირველად განწესებულ⁵⁷⁾.

სიძვან სოდა:

11. მტილსა ნიგვზოვანსა შთახედ მიხედვად ნაყოფთა წყაროთასა, ხილვად: თუ ჰყვავიან მროწეულნი, ანუ თუ წარმოუტევებიეს ნაძვსა⁵⁸⁾.

სძალი სიძვანს ეტყვის:

12. მუნ მიგცნე შენ ძუძუნი ჩემნი⁵⁹⁾: დამდვა მე ვითარუ ეტლი ამინადაბისი⁶⁰⁾ — არა ჰსცნა სულმან ჩემან.

თავი VII

ჩალწულთა და დედოფალთა ეტყვის სიძვან:

1. რაი იხილოთ უდუღამელისთანა (სულმამითინისთანა), რომელი მოვალს ვითარუ გუნდი ბანაკთა?

სიძვან სძალსა ეტყვის:

2. ვითარ შვენიერ არს სვლა შენი, ასულო ნაბადისო! უამიერად (ზომიერად?) ქმნული მუხლთა შენთა მგზავს არს მძივთა და ცმულთა საქმე ხელოვანისა (ზომიერება ბარძაყთა შენთა მგზავს არს და სხვ. პროფ. ალ. ცაგარ.⁽⁶¹⁾).

⁵³⁾ „მეწამულ ბაგენი“ და სხვ, ეს წინადადება სულ აღარ არის ახ. რ. თ.

⁵⁴⁾ სიკეონი შენნი — საფეთქელნი შენნი; დუმილი რუსულად ჭათა.

⁵⁵⁾ ხარჯი — ნალიჯნიცი — ხასა. გამოტოვებულია „მეგლანაკლინი, რომელთა არა არს რიცხვი“ (ეს ნაწყვეტი ბოლ. ქართ. თარგმანში კი არის).

⁵⁶⁾ გამოტოვებულია „რჩეულ არს იგი მშობელსა თვისისასა“ — იზბრნება ის რიცხვის მისამართი სისამართობა.

⁵⁷⁾ აქ ამ თა სიტყვაში იმავეს თქმა უნდა, რაც მე-5-ე მუხლის ბოლოში: „საკვირველ ვითარუ დაწესებულნი (წყობანი ლაშქართანი)“.

⁵⁸⁾ ახ. რ. თარგმ. მიხ. „შთავედ.... ხილვად, თუ ჰყვავიან ვენახნი თუ წარმოუტევებიეს ბრაწეულისა“, ამ. ს. ამბობს სძალი, რადგან რუსულად (ახ. რ. თ.) ი იუსტიას არის.

⁵⁹⁾, ეს არ მიჰყვება ახ. რ. თ. მეორე ნაწილი ამ მუხლისა კი ასე უნდა იყითხებოდეს იმავე თარგმნის მიხედვით: „არა სცნა სულმან ჩემან, სიყვარულმა ჩემთა და მდგრად ეტლსა დიდებულთა ერთისა. ჩემისათა“.

⁶⁰⁾ ამინადაბ — ერთ საქორწინე (საჭა თრბელ. ლექსიკონი).

⁶¹⁾ ეს არა მუხლი ქარ. თარგ. ერთად არა მ უკეცებული და ისიც შემოკლებულად. ახ. რ. თ. მიხედვით ასე უნ და იკითხებოდეს.

„, მიმოიხედე, მიმოიხედე სულმამითინ! მიმოიხედე, მიმოიხედე და ჩვენ გიხილოთ შენ! არა იხილოთ სულმამითინისთანა, რომელი მოვალს ვითარუ არა გუნდი მროვაცთა.

„, ვითარ შვენიერ არინ ფერხნი შენნი ხამლთა შენთა, ასულო კეთილშებილისათ! მოხაზულობა ბარძაყთა შენთა, ვითარუ სამეაული საქმე ხელოვანისა“.

3. უპე შენი — ტაკუკ⁽⁶²⁾ — წახნაგებულ (მოჭედილი ფიალი) მოუკლებელ ზავებულ⁽⁶³⁾ (უკლებლივ კეთილ-ხმოვანი) მუცული შენი ვითარცა ხვავი იფქლისა (ხორბლისა) შროშანთა შორის.

4. ძუძუნი შენი ვითარცა ორნი თიკანნი მარჩბივნი ქურციკისანი⁽⁶⁴⁾.

5. ყელი შენი ვითარცა გოდოლი პილოს ძვალისა; თვალი შენი, ვითარცა ტბანი ესებონისანი, — ბჟეთა (სამყოფელთა) ასულთა მრავალთა⁽⁶⁵⁾; ცხვირი შენი ვითარცა გოდოლი ლიბანისა, პირის-პირ დამასკისა.

6. თავი შენი შენ ზედა, ვითარცა კარმელი თხზული (ნაწნავნი) თავისა შენისა ვითარცა ძოწეული, ვითარცა მეფე შარავანდ დადგმულ ასპარეზსა⁽⁶⁶⁾.

7. რავდენ შევინირ ხარ და რავდენ დასტკბნი, სიყვარულო, ფუფუნებასა შინა შენსა.

8. ემზავსა სიმაღლე შენი ფინიკსა და სასძეურნი⁽⁶⁷⁾ შენი ტევანთა მისთა.

9. და ვთქუ: ალვედე ფინიკსა იმას შებმა უყო სიმაღლესა მისსა; იყვნედ ძუძუნი შენი ვითარცა ტევანნი ვენახსა და სუნი ღძილთა⁽⁶⁸⁾ შენთა ვითარცა ვაშლისა.

10. და სასა შენი, ვითარცა ღვინო სუნელი⁽⁶⁹⁾.

სძალი ითვალისწინების:

მიხვალ კვალსა ძმისწულისა ჩემისას, სიწრფოებით მყოფ არს ბაგეთა ჩემთა და კბილთა⁽⁷⁰⁾

11. მე — ძმისწულისა ჩემისა და ჩემდა მოქცევა მისი⁽⁷¹⁾.

12 მოვედ, ძმისწულო ჩემო, და განვიდეთ აგარაკად ვიყოფოდით დაბნებსა⁽⁷²⁾.

13. ალვიმსთოდ ვენახებად, ვიხილოთ თუ ჰყვავიან ვენახნი, ანუ თუ წარმოეტევოს ნაძვსა, ანუ თუ ყვაოდის ზროწეული — მუნ მიგცნე ძუძუნი⁽⁷³⁾ ჩემი შენ.

14. გამოსცეს სუნელება თვისი მინდრაგორთა და კართა ჩემთა თანა ყოველთა ხეთა ხილოვანთა; ახალი ძველსა თანა, რომელი მომცა მე დედამან ჩემმან, ძმისწულო ჩემო, დაგიმარხო შენ.

თავი VIII

1. ვინ მოსცნა ძმისწულსა ჩემსა წოვნად ძუძუნი დედისა ჩემისანი?⁽⁷⁴⁾ გბოვე შენ გარე; შეგიყვარე შენ და არავინ მიგმოს მე.

2. შეგიპურა და შეგიყვანო შენ სახედ დედისა ჩემისა და საუნჯეთა მშობელისა ჩემისათა⁽⁷⁵⁾, — გასვა შენ ღვინო

ნელსაცხებელის მგბოლველთა (ლი), მიგიპურა შენ უკარისი მროწეულთა ჩემთა.

3. მარცხენე მისი თავსა ჩემსა ქვეშე და მარჯვენე მისი შემეტხვის მე.

4. გაფუცებ თქვენ, ასულნო იერუსალიმისანო, ძალითა და სიმტკიცითა აგარაკისათა: რაეამს აღსდგეთ, განაღვიძეთ სიყვარული — რაეამს უნდეს⁽⁷⁶⁾.

ასულთა და დედობალთა სიძმესა რჩვეს:

5. ვაშლისა ქვეშე განგაღვიძე შენ; მუნ ელმოდა⁽⁷⁷⁾ შენ-თვის დედასა შენსა, მუნ ელმოდა მშობელსა შენსა.

6. რამეთუ მძლავრ არს ვითარცა სიკვდილი — სიყვარული, ფიცხელ არს ვითარცა ჯოჯოხეთი — შერი, ფრთენი მისნი — ფრთენი ცეცხლისანი, ალისა მისისანი⁽⁷⁸⁾.

7. წყალი მრავალი ვერ შემძლებელ არიან დაშრეტად სიყვარულისა და მდინარეთა ვერ წარლვნან იგი; უკეთუ მისცეს კაცმან ყოველივე ცხოვრება თვისი სიყვარულსა, შეურაცხებით შეურაცხების იგი.

ასული იძრუსალიმისანი აგას იტყვიან:

8. დაი ჩვენი მცირე არს და ძუძუნი არ ასენ. რაიმე უყოთ დასა ჩვენსა დღესა მას, რომელსა პრევას მას სიტყვაი⁽⁷⁹⁾

9. უკეთუმცა ზღუდე იყო, უშენენითმცა არდაბაგნი ვეცხლისანი, ანუ თუმცა კარი იყო გამომცა ვხატეთ ფიცართა ნაძვისათა.

სძალი განცხადებულად იტყვიან:

10. მე ზღუდე ვარ და ძუძუნი ჩემნი ვითარცა გოდოლნი; მე ვიყავ წინაშე თვალთა მისთა, რომელნი ვპოებდი მშვიდობას⁽⁸⁰⁾.

11. ვენახი იყო სოლომონისი ბელამონ, და მისცა ვენახი იგი მცელთა-კაცმან მან მთართვას ნაყოფითა თვისთა ათასი ვეცხლისა.

12. ვენახი ჩემი — ჩემი არს წინაშე ჩემსა: ათასეული სოლომონს და ორასი მცელთა ნაყოფისა მისისათა.

სძალი იტყვიან:

13. რომელი ზი მტილებსა შინა — მოყვანი გელიან. ხმა შენი მასმინე.

14. ივლტოდე, დისწულო ჩემო, და დაემზგავსე ქურციკსა, ანუ ნუკრსა ირმისასა მთათა ზედა სუნელთასა.

დასრულება „ქება-ქებათა“.



⁽⁶²⁾ როცირ ჭურჭელი ღვინისა (საბა რაბ. ლექს.).

⁽⁶³⁾ „რგვალი ფიალი, უკლებლივ ღვინ სუნელოვანით“ — ასე უნდა იკითხებოდეს ა. რ. მიხვედით.

⁽⁶⁴⁾ უნდა იყოს ვითარცა ორნი ნუკრნი ირმისანი....

⁽⁶⁵⁾ უგვეველად აქ გადათარგმნილია სახელწოდება ა. რუ. თარგმანში ასეა: უ ვირთე — ბატე — რაბბიმა.

⁽⁶⁶⁾ ვითარცა მეფე და სხვა, ცარი — უზნებელი ქადაგისაგან.

⁽⁶⁷⁾ ძუძუნი.

⁽⁶⁸⁾ ცხვირისა შენისა (ა. რ. რ. რ.).

⁽⁶⁹⁾ „სასას“ მავირ „ბაგე“ უნდა იყოს — უსტა (ა. რ. ა.).

⁽⁷⁰⁾ სულ სხვაგარად არის ა. რ. რ. რ. „ღვინო მივალის პირდაპირ ჩემ მეგობართან, ბაგეთა მძინარეთ აალაპარებს.

⁽⁷¹⁾ ჩემია მოილტის იგი (ეგი სტრემლენიე კო მნებ ა. რ. რ.).

⁽⁷²⁾ გავათოთ ღამე კაბაროსთა შორის (ა. რ. რ. რ.).

⁽⁷³⁾ ძუძუნი — ალერნი (ლასკი) ა. რ. რ.

⁽⁷⁴⁾ „ოჳ, ნეტავი იყო შენ მა ჩემი, რომელმან წოვნა ძუძუნი დედისანი, გამოვებდი შენ გარე. ასე უნდა იყოს (ა. რ. რ.).

⁽⁷⁵⁾ გამოშვებულია: „შენ მაწავლო მე“ (ა. რ. რ. რ.).

⁽⁷⁶⁾ რა უყოთ ჩენ დასა, როცა ვინმე ცოლად მგვთხვესო — კოდა ჩე ჩე ბუდეთ სვათასი (ა. რ. რ. რ.).

⁽⁷⁷⁾ „ამიტომაც“ მე ვიყავ წინაშე თვალთა მისთა.... , ვითარცა წყარო მადლისა“, ასეა ა. რ. რ. თარებ.

⁽⁷⁸⁾ „უკეთ შესრათ და აღადგინოთ სიყვარული — ვიდრემდის ინებოს“, ბოლონდელი ქართული თარგმანი.

⁽⁷⁹⁾ ელმოდა — გშობდა. ეს მუსლი შემოკლებულია. ა. რ. რ. ასე უნდა იყოს: „ვინ არს ესე, რომელ; გამოვალს უდაბნოთ რომელი დაყრდნობია მახლობელსა თვისსა...“ და დაარჩენი.

⁽⁸⁰⁾ აქაც დასაწყისია გამოშვებული, რომელიც მოიპოვება ბოლონდელ ქართულ თარგმანში: „დამდევს (დამიდევს) მე ვითარცა ბეჭედი გულავა ზედა შენსა... და დაარჩენი. „ალისა მისისანია ა. რ. რ. რ. იკითხება: „ალი უფლისა“.